ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ონი, საქართველო 11.02.2022

პრეამბულა

წინამდებარე მემორანდუმი (შემდგომში მემორანდუმი) დადებულია ერთის მხრივ ონის მუნიციპალიტეტის მერიის (ს/კ 237978235) წარმომადგენელის სერგო ხიდეშელის სახით და მეორეს მხრივ ა(ა)იპ მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაციის (ს/კ 404961181) პრეზიდენტის - ხვთისწყალობა ტურძელაძის შორის. მხარეები გამოვხატავთ რა ერთობლივ ნებას, ვთანხმდებით თანამშრომლობაზე.

1. მიზანი

მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს:

- ტურიზმის სფეროს დარგობრივი განვითარება.
- ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.
- ტურიზმის სფეროში დარგობრივი კვლევების და პუბლიკაციების წარმოება.
- მოსახლეობაში ტურიზმის სფეროს მიმართ ცნობიერების ამაღლება.
- ტურიზმის სფეროს განვითარებისთვის გენერალური გეგმის დოკუმენტის მომზადება.

2. შეთანხმების საგანი

ამ მემორანდუმის თანახმად, დასახული მიზნის მისაღწევად მხარეები თავისი უფლებამოსილების და შესაძლებლობების ფარგლებში:

2.1 შეიმუშავებენ ერთობლივ პროგრამებს, პროექტებს და განახორციელებენ ონის მუნიციპალიტეტში.
2.2 ხელს შეუწყობენ ტურიზმის აღორძინებასა და განვითარებას.
2.3 ხელს შეუწყობენ ტურიზმის კადრების გადამზადებასა და სერტიფიცირებას.
2.4 შეიმუშავებენ ტურიზმის მარშუტებს.
2.5 უზრუნველყოფენ ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობას ტურისტულ საქმიანობაში.

3. მხარეების უფლება-მოვალეობები:

1. მხარეებს აქვთ თანაბარი უფლებები მემორანდუმის მიზნების განხორციელებისას.

2. მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ მემორანდუმის პირობები კეთილსინდისიერებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე.

3. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას შეუთანხმონ ერთმანეთს ქმედებები, რომლებიც შეიძლება შეეხოს მეორე მხარის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. ამისთვის, მათ უნდა განახორციელონ შემდეგი მოქმედებები:

3.1. გაუზიარონ ერთმანეთს მემორანდუმის საგნის შესახებ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია.

3.2. დაიცვან და გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საქმიან რეპუტაციას.

3.3. იმოქმედონ კოორდინირებულად.

4.მემორანდუმის მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელისმოწერის მომენტიდან 3 წლის განმავლობაში.

4.2 წინამდებარე მემორანდუმი შესაძლებელია ვადამდე შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით ან ცალმხრივად, თუ მისი მონაწილე რომელიმე მხარე არღვევს (ან/და არ ასრულებს) მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ამასთან, მემორანდუმის შეწყვეტით დაინტერესებული მხარე მეორე მხარეს აცნობებს არა ნაკლებ ორი თვის ვადისა მის შეწყვეტამდე.

5. დამატებითი დებულებები

5.1 წინამდებარე მემორანდუმი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად

5.2 მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა მასზე ხელმომწერ მხარეებს.

5.3 ამ მემორანდუმიდან გამომდინარე სადაო საკითხები გადაწყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ხელმომწერები

ონის მუნიციპალიტეტის მერი

სერგო ხიდეშელი

ა(ა)იპ მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაციის (ს/კ 404961181)

პრეზიდენტი - ხვთისწყალობა ფურძელაძე